საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიმნა

დიმნა, ანტიკური და შუა საუკუნეების ციხესიმაგრე დასავლეთ საქართველოში, ახლანდ. სოფ. დიმის მახლობლად (ბაღდათის მუნიციპალიტეტი). ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობით, დ. აუშენებია მეფე ფარნავაზს შორაპნის ციხესთან ერთად. მასვე უკავშირებს დ-ის აგებას ვახუშტი ბატონიშვილიც (XVIII ს.).

დ. უნდა ყოფილიყო რეგიონის („ქვეყნის") ცენტრი და სტრატეგიული პუნქტი, რ-იც მდებარეობდა მნიშვნელოვან გზათა შესაყართან. იგი აკონტროლებდა, ერთი მხრივ, ხანისწყლის ხეობას, რ-იც „რკინისჯვრის" გზის მეშვეობით ფაზის-რიონის ხეობას უკავშირდებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, „ციხის ყელზე" გავლით, ქართლთან დამაკავშირებელ გზას.

დ. მცირე ზომის ნაგებობაა (40 მ×20 მ). შემორჩენილია ოთხკუთხა კოშკი და ზღუდის ნაშთები, რ-ებიც წყობის მიხედვით ადრინდ. შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს, ხოლო ციხის გარეთ გათხრებით გამოვლენილი რიყის ქვის კედელი ელინისტური ხანის მიწურულს (ძვ. წ. II–I სს.) მიეკუთვნება. ბორცვი, რ-ზედაც ციხეა აშენებული, ძვ. ნამოსახლარს წარმოადგენს. იგი ხელოვნური თხრილით არის გამოყოფილი ფერსათის კალთისაგან და დატერასებულია. ბორცვზე მოპოვებული არქეოლ. მასალები წინარეანტიკურ ხანას განეკუთვნება. დ-ის მიდამოებში 1974 ჩატარდა მცირე მასშტაბის დაზვერვითი არქეოლ. სამუშაოები (ხელმძღვ. ვ. ჯაფარიძე).

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 8, თბ., 1975; მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965; ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი გ., ანტიკური ხანის

შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული », 1964, [ტ.] 2.

ვ. ჯაფარიძე